თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2480636

ნომერი: AR1385775

თარიღი : 14.03.2016

გაცემის თარიღი : 15.03.2016

გაცნობის თარიღი : 15.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჯმუხაძე პ/ნ 01024034699
- ქ. თბილისი, ვეძისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/11/2015 წლის #2305738 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14.03.2016 წლის #AR1385775 განცხადებით მომართა ლევან ჯმუხაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/11/2015 წლის #2305738 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/11/2015 წლის #2305738 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #12, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.05.008.218), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი D-1) არქიტექტურული პროექტი.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას და შემდეგი მაჩვენებლების დაფიქსირებას: საერთო ფართობი 9993.4 კვ.მ-ის ნაცვლად – 10071.7კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 5648.0 კვ.მ-ის ნაცვლად – 5725.0 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1698.3 კვ.მ-ის ნაცვლად – 1699.6 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/11/2015 წლის #2305738 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 9993.4 კვ.მ-ის ნაცვლად – 10071.7კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 5648.0 კვ.მ-ის ნაცვლად – 5725.0 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1698.3 კვ.მ-ის ნაცვლად – 1699.6 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/11/2015 წლის #2305738 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.